

შესაძლებელია თუ არა
სკვლ მკურნალობა
ორსულობის პერიოდში?

ორსულობის დროს ქლამიდიოზის, გონორეას, ათაშანგის, ტრიქომონოზის და ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობა და განუკურნება შესაძლებელია შესაბამისი ანტიბიოტიკების გამოყენებით. ვირუსული ინფექციების შემთხვევაში (აივ ინფექცია, გენიტალური ჰერპესი), ინიშნება ანტივირუსული მედიკამენტები ვირუსის აქტივობის დასაქვეითებლად და ნაყოფზე გადაცემის რისკის შესამცირებლად. თუ უშუალოდ მშობიარობის წინ აღინიშნება გენიტალური ჰერპესული გამონაყარი, აწარმოებენ საკეისრო ჯვრას. მშობიარობის ამავე მეთოდს მიმართავენ აივ ინფიცირებულ ორსულებში. ზოგიერთი ინფექციის დროს მკურნალობა ორსულობის დროს არ ტარდება (მაგალითად, B ჰეპატიტი), მაგრამ ახალშობილს ენიშნება B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი და ვაქცინა, რითაც ბავშვის B ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების რისკი მინიმუმამდე დადის.

ჰაპილომა ვირუსული ინფექციის შემთხვევაში, თუ ორსულს აქვს უნდოლომები, შესაძლებელია მათი ადგილობრივი მკურნალობა. დიდი ზომის უნდოლომების დროს, თუ არსებობს მშობიარობისას მათი დაზიანებით გამოწვეული სისხლდენის რისკი ან ისინი ახშობს სამშობიარო გზებს, მიმართავენ საკეისრო ჯვრას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ორსულის გამოკვლევას სხვადასხვა სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.



Elizabeth Glazer pediatric AIDS Foundation



ქალთა და ბავშვთა დაცვის ეავშირი
ვაჟა-ფშაველას 18ა
ტელ: 311125
www.mccu.ge



სქესობრივი გზით
გადამდები დაავადებები
და ორსულობა

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები (სგვდ) და ორსულობა

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებია: ბაქტერიული ვაგინოზი, გენიტალური ჰერპესი, ქლამიდიოზი, ტრიქომონოზი, გონორეა, B და C ჰეპატიტი, აივ ინფექცია, ათაშანგი, ჰაპილომა-ვირუსული ინფექცია და სხვ.

სგვდ შეიძლება ჰქონდეს სქესობრივად აქტიურ ნებისმიერ ქალს, მათ შორის ორსულს, განურჩევლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, განათლებისა, ასაკისა, ეროვნებისა თუ რელიგიური მრწამსისა.

რა შიშვენიერებაში სჭირდება ორსულს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებზე გამოკვლევა?

უმრავლეს ქვეყნებში ორსულებს პირველივე პრენატალური ვიზიტისას უტარდება გამოკვლევა სქესობრივი გზით გადამდებ სხვადასხვა ინფექციებზე. ზოგიერთი გამოკვლევა რუტინულად არ



ტარდება და ამიტომ, სასურველია, თვითონ ორსული ქალი იყოს დაინტერესებული, რომ მაქსიმალურად ჩაიტაროს გამოკვლევები სგვდ-ზე, რადგან ამ დაავადებათა უმრავლესობის დროული გამოვლენა იძლევა იმის საშუალებას, რომ შესაბამისი მკურნალობით თავიდან ავიცილოთ თვით ორსულის ჯანმრთელობაზე და ასევე ნაყოფზე მავნე გავლენა.

ორსულმა გამოკვლევა უნდა ჩაიტაროს იმ შემთხვევაშიც, თუ წარსულში უკვე ჩატარებული აქვს ამ ტიპის კვლევები, ვინაიდან სგვდ შეიძლება ქალს ნებისმიერ დროს დაემართოს.

რა გამოვლინებები და გართულებები შეიძლება ჰქონდეს სგვდ-ის მქონე ორსულს?

სგვდ-ს შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი სიმპტომები ჰქონდეს. ყველაზე ხშირად აღინიშნება სხვადასხვა ტიპის გამონადენი სასქესო ორგანოდან, რასაც შეიძლება ახლდეს წვის და ქავილის შეგრძნება. თუმცა სგვდ შეიძლება მიმდინარეობდეს ფარულად, ყოველგვარი სიმპტომების გარეშე.

ორსულობის დროს სგვდ-ს იგივე გართულებები შეიძლება ჰქონდეს, რაც არა ორსულს. სხვადასხვა სქესობრივი გზით გადამდებმა დაავადებებმა შეიძლება გამოიწვიოს მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებები, ქრონიული ჰეპატიტი, სიმსივნური დაავადებები და სხვ.



სგვდ-ს მქონე ორსულს შეიძლება აღენიშნოს ნაადრევი მშობიარობა ან განუვითარდეს საშვილოსნოს ინფექცია მშობიარობის შემდეგ.

რა გავლენას ახდენს სგვდ ნაყოფზე?

ზოგიერთი სგვდ შეიძლება გადაეცეს დედიდან ბავშვზე ორსულობის, მშობიარობის და ძუძუთი კვების დროს. სგვდ-ის ერთ ნაწილს

(მაგალითად, ათაშანგი, აივ ინფექცია) აქვს უნარი, ნაყოფს გადაეცეს პლაცენტის გავლით მუცლადყოფნის პერიოდში. სხვა ინფექციების



(მაგალითად, გონორეა, ქლამიდიოზი, გენიტალური ჰერპესი), შემთხვევაში უპირატესად ან მხოლოდ მშობიარობის დროს ხდება ნაყოფის ინფიცირება სამშობიარო გზებში გავლილას. არსებობს ისეთი ინფექციებიც (მაგალითად, აივ ინფექცია), რომლებიც დედიდან ბავშვზე შეიძლება გადაეცეს ორსულობის, მშობიარობის და ძუძუთი კვების დროსაც.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დამაზიანებელი შედეგი შეიძლება გამოვლინდეს მკვდრადშობადობით, დუნაჯლობით, ნაყოფის უმწიფრობით, ბავშვის სხვადასხვა ორგანოების დაზიანებით (მაგალითად, ქლამიდას შეუძლია გამოიწვიოს ახალშობილის კონიუნქტივიტი და ფილტვის ანთება; დედის ზოგიერთი ინფექციის დროს შეიძლება მოხდეს ნაყოფის ნერვული სისტემის დაზიანება, მხედველობის ან სმენის დარღვევა და სხვა). მთელი რიგი ამ ჰათოლოგიების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ მოხდება ორსულისთვის დროული დიაგნოსტიკა სგვდ-ზე და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა. ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს რომელიმე ინფექციაზე განმეორებით გამოკვლევა მშობიარობამდე ცოცხალი ადრე.

